

აჭარა–თრიალეთის ზონის ცენტრალური სეგმენტის მეზო–კაინოზოური ნალექების იქნოლოგიური და სედიმენტოლოგიური ანალიზი

ზურაბ ლებანიძე

კახა ქოიავა, ოთარ ჯაფარიძე

zurab.lebanidze@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, თსუ, უნივერსიტეტის ქ. 13

2013 წლის საველე სამუშაოების დროს ჩვენს მიერ შესრულებულ იქნა (აგრეთვე მონაწილეობდნენ თ. ბერიძე, კ. ქოიავა რ. ჩაგელიშვილი, ს. ხუციშვილი,) ბორჯომის რაიონის კაინოზოური ნალექების რამდენიმე ჭრილი მათში იქნოფაუნის დადგენის მიზნით.

ბორჯომის რაიონში უძველეს ნალექებს წარმოადგენენ პალეოცენ–ქვედაეოცენური (E₁-E₂¹) ასაკის, “**ბორჯომის წყების**” ფლიშური წარმონაქმნები, რომლებიც წარმოდგენილია ქვიშაქვა–ალევიტული კლასტურ–კირქვიანი ფლიშით. „ბორჯომის წყება“ აგებულია კლასტური კირქვებით, მერგელებით, თიხებით, არგილიტებით და მერგელოვანი და ალევრიტული ტურბიდიტებით. მათ აღმავალ ჭრილში აგრძელებს შუაეოცენური (E₂²) მძლავრი ვულკანოგენურ–დანალექი სერია, რომელიც სამ წყებად ნაწილდება. ბორჯომის წყებას აგრძელებს 1500 მ სიმძლავრის სუბტუტე ბაზალტების შრეებრივი ვულკანოკლასტოლითებით აგებული **ლიკანის წყება**. მას მოყვება **ქვებისხევის წყება**, რომელიც წარმოდგენილია ლავური განფენების და შრეებრივი ტუფების მორიგეობით, სიმძლავრე–600 მ. შუაეოცენის ზედა ნაწილს შეადგენს 1500მ სიმძლავრის, დაბალტიტანიანი ბაზალტების ლავოდა ტუფბრექჩიებით და ლავური განფენებით აგებული **დვირის წყება**.

2013 წლის საველე სამუშაოების შედეგად „ბორჯომის წყების“ პალეოცენურ ნაწილში (დაბისხევის ქვეწყება) პირველად გამოვლენილ იქნა ორი სახის ბიოტურბაცია. ესენი არიან იქნოგვარების Chondrites და Helicodromites წარმომადგენლები. Helicodromites–ის და Chondrites–ის ნაკვალევების კომბინაცია დამახასიათებელია წვრილმარცვლოვანი ტურბიდიტული სისტემების დისტალური მერგელოვანი და ალევრიტული ტურბიდიტებისათვის (ეოცენი, ბისტრიცას ფორმაცია, ზბლუძა, გარე კარპატები, პოლონეთი).

შუაეოცენურ ნალექებში ნამარხი ნაკვალევები დაკავშირებულია ლიკანის წყების სხვადასხვა დონეებთან და გამოვლენილია მდ. მტკვრის (ახალდაბა, ლარები) და მდ. ბორჯომულას ჭრილებში. შუაეოცენურ იქნოკომპლექსში ჩვენს მიერ დადგენილია რთული, სპირალური და მეანდრირებადი და მათი კომბინაციებით მიღებული ნაკვალევები, რომლებიც მიეკუთვნებიან შემდეგ იქნოგვარებს: Helmitoidea, Spiroraphe, Cosmoraphe, Taphrhelminopsis, Spirophycus. უკანასკნელი ორი ფორმა დამახასიათებელია ესპანეთის ეოცენურისათვის. ნამარხი ნაკვალევების ასეთი რთული ტრაექტორიები დაკავშირებულია ფაციესებთან, რომლებიც შეესაბამებიან ბიოტოპებს სტაბილური გარემოთი და შეზღუდული საკვები რესურსებით (ღრმა ზღვის ფსკერი).

ამრიგად, ბორჯომის რაიონის პალეოცენ–ქვედაეოცენური აუზის აღნიშნული უბანი წარმოადგენდა წვრილმარცვლოვანი ტურბიდიტული სისტემის დისტალურ ნაწილს და მისთვის დამახასიათებელი იყო სედიმენტაციის დაბალ–ოქსიგენური გარემო (Chondrites–ის იქნოფაციესი). შუაეოცენში აღნიშნული ტერიტორია, როგორც იქნოლოგიური მონაცემებით ირკვევა, ღრმა ზღვის ფსკერს წარმოადგენდა. ეს ეთანხმება მოსაზრებას, რომ შუაეოცენში ადგილი ჰქონდა აჭარა–თრიალეთის რიფტის მაქსიმალურ გაჭიმვას (Адамия и др., 1974, 1977).